პროექტი

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება №**

**2024 წლის ----- იანვარი, ქალაქი ბათუმი**

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა N102-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 15 დეკემბრის N5/68885 წერილის საფუძველზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა N102-ის მიმდებარედ არსებული 221,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 05.26.11.042).
2. ეთხოვოს სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრაცია.
3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე**
**რამაზ ჯინჭარაძე**

**განმარტებითი ბარათი**

**პროექტის სახელწოდება და სათაური**

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა N102-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ**

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 15 დეკემბრის N5/68885 (N04-1423349370-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოში წარდგენილია სსიპ –ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (N5007986723, 13.12.2023წ) კორესპონდენცია, რომელშიც დასმულია საკითხი ქალაქ ბათუმში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა N102-ის მიმდებარედ არსებული 221,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.26.11.042) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია და ითხოვს, რომ განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა N102-ის მიმდებარედ 221,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.26.11.042) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემა, მისი შემდგომში სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა N102-ის მიმდებარედ არსებული 221,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა, მისი შემდგომში სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებით ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის**

**მუნიციპალური ქონების და სერვისების**

**მართვის სამსახურის უფროსი**

**დავით კოპინაძე**

ხელმოწერილია
შტამპდასმულია
ელექტრონულად

№ 5007986723

13/12/2023

5007986723

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

-----------------------------------------------

თბილისი, 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. N49ა

ქალაქ ბათუმში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა 102-ში მდებარე, № 05. 26. 11. 001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (დაზუსტებული ფართი 2676.00 კვ.მ) განთავსებულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა სახის საექსპერტო-კვლევითი მომსახურების გაწევას.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის მომიჯნავედ განთავსებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 05. 26. 11. 042, სადაც ბიუროს მიერ მოწყობილია გამწვანებული სივრცე, დარგულია სხვადასხვა სახის დეკორატიული ხე-მცენარეები, რომელთა მოვლა-პატრონობას ახორციელებს ბიურო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, გაგვიწიოთ შუამდგომლობა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართი (საკადასტრო კოდი № 05. 26. 11. 042 - დაზუსტებული ფართობი 221.00 კვ.მ.), წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტმა გადმოგცეთ სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, ხოლო თქვენი თანხმობის შემთხვევაში, აღნიშნული ფართი სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ) გადაეცეს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, რომელიც უზრუნველყოფს არსებული გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობას და სხვა საჭირო ღონისძიებების გატარებას (იხ. დანართი).

დანართი: 03 ფურცელი.

5007986723

პატივისცემით,

მამუკა ჯანგულაშვილი

ბიუროს უფროსი





# სიტუაციური გეგმა




რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი

რეგისტრირებული შენობები

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საკუთრებაში არსებული (ს/კ: 05.26.11.001)-ით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის, მომიჯნავე (დაურეგისტრირებელი) ტერიტორია (221 კვ.მ)

**ᲡᲡᲘᲞ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ**

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი
0179 თბილისი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

**15 / დეკემბერი / 2023 წ.**

KA021708833881823

№ **5/68885**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ასლი: სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს

გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსულია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 13.12.2023წ. №5007986723 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი ქალაქ ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩა № 102-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 05.26.11.042) სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.

გიგზავნით ზემოხსენებულ კორესპონდენციას. გთხოვთ, განიხილოთ ქალაქ ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩა № 102-ის მიმდებარედ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.26.11.042) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი, შემდგომში სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ/ ᲨᲢᲐᲛᲞᲓᲐᲡᲛᲣᲚᲘᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲐᲓ

გიორგი დუგლაძე